2017 - 2021

გან ვით არე ბის 4 წელი

საკონტაქტო ინფორმაცია

ტელ.: 032 2 98 78 78
ელ-ფოსტა: info@gba.ge
ვებ-გვერდი: www.gba.ge

ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია"
L.E.P.L. "GEORGIAN BAR ASSOCIATION"

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

სარჩევი

ინტერვიუ დავით ასათიანთან 03

საკანონმდებლო ცვლილებები ადვოკატის როლის გაძლიერებისთვის 08

პროფესიული ერთობა და მხარდაჭერა 12

საადვოკატო საქმიანობის ხარისხზე ზრუნვა 22

ინფრასტრუქტურული პროექტები 28

პროფესიის იმიჯზე ზრუნვა 32

ადვოკატურის როლი მართლმსაჯულების სისტემის რეფორმებში 42

საკომიტეტო საქმიანობა 48

საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება 52

ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერება 62

თანამედროვე ტექნოლოგიები ასოციაციის საქმიანობაში 66

პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვაზე ზრუნვა 70

ორგანიზაციული და სტრუქტურული რეფორმები 74

თავმჯდომარეობის ოთხი წელი

ინტერვიუ დავით ასათიანთან

გასული ოთხი წელი იყო გამოწვევებით, ახალი მიზნებითა და მიღწევებით სავსე პერიოდი. ამ რამდენიმე წელში ჩვენს კოლეგებთან ერთად შევძელით, თვისებრივად ახალ ეტაპზე გადაგვეყვანა ჩვენი პროფესია და კიდევ უფრო გაგვეძლიერებინა მისი დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა, რისთვისაც ამ ანგარიშში ასახული არაერთი პროექტი განვახორციელეთ.

ჩემი მიზანია, ადვოკატურა საქართველოში იყოს ისეთი ძლიერი და თავისუფალი, რომელიც ქართული დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ჩამოყალიბებისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრების ფუნდამენტს შექმნის. მჯერა, რომ დამოუკიდებელი და ძლიერი იურიდიული პროფესიის არსებობა კანონის უზენაესობისა და მის წინაშე თანასწორობის დამკვიდრების, სამართლიანი სახელმწიფოს შენებისა და დემოკრატიის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა, რისი ნათელი დასტურიც დასავლური განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაა.

რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა და მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც ასოციაციამ გადადგა?

ქართული იურიდიული პროფესიის ბოლო პერიოდის მთავარი გამოწვევა ადვოკატის როლისა და მისი ფუნქციური სიძლიერის არარსებობა იყო, რასაც არაერთი ფაქტორი განაპირობებდა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ უახლოეს წარსულში 150-ზე მეტი ჩვენი კოლეგა იყო დაპატიმრებული, რაც პროფესიის დესტაბილიზაციას იწვევდა. იმის გამო, რომ ადვოკატის იმიჯი და რეპუტაცია ინსტიტუციონალური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად იყო შესუსტებული, ადვოკატი ვეღარ ასრულებდა სათანადო როლს მართლმსაჯულების სისტემაში.

ამ გამოწვევების გათვალისწინებით, დავისახეთ გეგმა, რომ ადვოკატის პროფესია და ადვოკატის ინსტიტუტი მაქსიმალურად გაგვეძლიერებინა, რათა ადვოკატის დაცვის გარანტიები საკანონმდებლო დონეზე მაქსიმალურად ყოფილიყო განმტკიცებული და მათი საქმიანობა სრულად დაცული, რასაც წარმატებით გავუმკლავდით.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არ გვქონია პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე ადვოკატის პატიმრობაში ყოფნის შემთხვევა. მართალია არის რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე ადვოკატების წინააღმდეგ, მაგრამ ასოციაციის აქტიური მხარდაჭერით რამდენიმე მათგანი უკვე გაამართლა სასამართლომ, დანარჩენილ საქმეებზე კი, ადვოკატთა უფლებების დაცვის კომიტეტი აქტიურად მუშაობს, რათა თითოეული ადვოკატის სამართლიანი სასამართლოს უფლება გარანტირებულად იყოს დაცული.

ჩემი მიზანია ადვოკატურა საქართველოში იყოს ისეთი ძლიერი და თავისუფალი, რომელიც ქართული დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ჩამოყალიბებისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრების ფუნდამენტს შექმნის.

რა როლი აქვს ადვოკატურას სახელმწიფოს განვითარებასა და საზოგადოების ცხოვრებაში?

კარგად ვაცნობიერებთ ჩვენს პასუხისმგებლობას სანდო და ხარისხიანი მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრებაში. შესაბამისად, ორიენტაცია ავიღეთ მართლმსაჯულების პროფესიათა შორის დიალოგზე და ჩამოვაყალიბეთ მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო, რომლის ფარგლებშიც ეფექტიანი დისკუსიის ფორმატი შევქმენით სასამართლოსა და პროკურატურასთან, რათა განვითარდეს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და დროულად გადაიჭრას სამართალწარმოების პროცესში არსებული პრობლემები.

როგორია ასოციაციის სამომავლო გეგმები?

ადვოკატის როლისა და ფუნქციის გაძლიერება – ეს არის მიზანი, რისკენაც იყო მიმართული ჩვენი საქმიანობა ბოლო წლების განმავლობაში. სწორედ ამ მიმართულებით კიდევ უფრო აქტიურად გავაგრძელებთ სამომავლო რეფორმებს. ყოველთვის ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ადვოკატს შეეძლოს, თავისუფალ გარემოში აწარმოოს პროფესიული საქმიანობა.

ყოველთვის ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ ადვოკატს შეეძლოს თავისუფალ გარემოში აწარმოოს პროფესიული საქმიანობა.

ვიმუშავებთ ადვოკატის როლთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, რათა გამოირიცხოს ადვოკატისა და კლიენტის იდენტიფიცირება. ინიცირებული გვაქვს არაერთი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ადვოკატის პროფესიას კიდევ უფრო გააძლიერებს.

რას ნიშნავს თქვენთვის პროფესია ადვოკატი?

უკვე 20 წელზე მეტია, ადვოკატი ვარ და კარიერის განმავლობაში არცერთი დღე არ მიმუშავია სხვა სფეროში. შესაბამისად, ადვოკატობა ჩემთვის არა მხოლოდ პროფესია, არამედ ცხოვრების იდეაა, ცხოვრების წესია, რაც სამართლიანობას, ადამიანების თანადგომას, სხვისი პრობლემების გათავისებასა და ამ პრობლემების გადაჭრაში დახმარებას უკავშირდება.

ამ პროცესში საკმაოდ კრიზისული პერიოდები გამოვიარეთ, მაგრამ ბრძოლა არ შეგვიწყვეტია და არც შევწყვეტთ.

როდესაც კოლეგებმა თავმჯდომარედ ამირჩიეს, ჩემთვის პირველ რიგში ეს იყო დიდი ნდობის გამოცხადება და ამავე დროს პასუხისმგებლობა, რომ ვემსახურო პროფესიას, რომელიც ჩემთვის ასე ძვირფასია.

ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში ყოველთვის ვცდილობდი, შემენარჩუნებინა აუცილებელი ბალანსი – ერთი მხრივ, ეფექტიანად აგვეწყო პროფესიის თვითრეგულირების მექანიზმები, მეორეს მხრივ კი, დამეცვა კონკრეტული ადვოკატის ავტონომიურობა და თავისუფლება. ვფიქრობ, ეს შევძელი, რადგან თავადაც მრავალი წელია, ადვოკატი ვარ და ჩემი პირადი პროფესიული თავისუფლება უმნიშვნელოვანესია ჩემთვის.

რას ნიშნავს თქვენთვის ევროპის ადვოკატთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად არჩევა?

მრავალი წელი ადვოკატთა ასოციაციაში საერთაშორისო ურთიერთობებზე ვიყავი პასუხისმგებელი და, შესაბამისად, ძალიან ახლო და კარგი ურთიერთობები მაქვს ჩვენს ევროპელ და ამერიკელ კოლეგებთან, თუმცა, მაინც მიმაჩნია, რომ ჩემი არჩევა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის პოზიციაზე არის პირველ რიგში ქართული საადვოკატო პროფესიის, იმ რეფორმების, იმ ბრძოლისა და საქმიანობის მნიშვნელოვანი აღიარება, რომელსაც ადვოკატთა ასოციაცია ბოლო ათწლეულების განმავლობაში ახორციელებს. ჩვენი ასოციაცია ცნობილია თავისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობით, ერთიანობით, ბრძოლისუნარიანობით, ადვოკატის უფლებების დაცვითა და ჩვენი კლიენტების სასარგებლოდ აქტიური ბრძოლით. ამ პროცესში საკმაოდ კრიზისული პერიოდები გამოვიარეთ, მაგრამ ბრძოლა არ შეგვიწყვეტია და არც შევწყვეტთ. სწორედ ეს გამოცდილება დააფასეს ჩვენმა ევროპელმა კოლეგებმა.

რას ურჩევთ პროფესიაში ახლად შემოსულ ადვოკატებს?

ადვოკატის პროფესია ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანია. ადვოკატს შეხება აქვს მრავალ სფეროსთან, სხვადასხვა ტიპის სამართლებრივ პრობლემასთან და ადამიანთან, ამიტომ ახალი თაობის ადვოკატებს ვურჩევ, იყვნენ ცნობისმოყვარენი და პრინციპულები, მუდმივად იზრუნონ პროფესიული კომპეტენციის განვითარებაზე, არასდროს დაიღალონ სამართლიანობისათვის ბრძოლაში, არასდროს შეწყვიტონ თვითგანვითარების პროცესი და გაითვალისწინონ გამოცდილი კოლეგების რჩევები. ეს არის პროფესია, რომელშიც წარმატება მთლიანად დამოკიდებულია კონკრეტული ადამიანის ინდივიდუალურ უნარებზე, თავისუფალ აზროვნებაზე, ნიჭსა და შრომისმოყვარეობაზე. შესაბამისად, თუ იურისტს აქვს სამართლიანობის, თავისუფლების სიყვარული და ადამიანის მიმართ თანადგომის შეგრძნება, მას აქვს ძალიან დიდი შანსი, გახდეს წარმატებული ადვოკატი.

ავტორი: ქეთევან სულხანიშვილი

ეს არის პროფესია, რომელშიც წარმატება მთლიანად დამოკიდებულია კონკრეტული ადამიანის ინდივიდუალურ უნარებზე, თავისუფალ აზროვნებაზე, ნიჭსა და შრომისმოყვარეობაზე.

1

საკანონმდებლო ცვლილებები ადვოკატის როლის
გაძლიერებისთვის 10

საკანონმდებლო ცვლილებები ადვოკატის როლის გაძლიერებისთვის

საკანონმდებლო ცვლილებები ადვოკატის როლის გაძლიერებისთვის

პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საქართველოს პარლამენტთან აქტიური და წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, შევძელით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება, რამაც ადვოკატის საქმიანობის ხელშეუხებლობისა და პროფესიული საიდუმლოების გარანტიები გაეროს პრინციპებით დადგენილ სტანდარტს შეუსაბამა:

- „ადვოკატთა შესახებ" კანონი, მუხლი 38.1. – ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს. დაუშვებელია ადვოკატის საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევა, ადვოკატის საქმიანობისათვის ხელის შეშლა, ადვოკატზე სახელმწიფო ორგანოს ან/და სხვა პირის არასათანადო ზემოქმედება, მისი დაშინება, შევიწროება, იძულება, დევნა, მასზე ზეწოლა, მისთვის მორალური ან/და მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობა ან ძალადობის მუქარა, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს ადვოკატის დამოუკიდებლობა.

- „ადვოკატთა შესახებ" კანონი, მუხლი 7.1.(ბ) - ადვოკატი ვალდებულია კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ან/და მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია); ამასთანავე, არ გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა.

ასოციაციის წევრების აქტიური ჩართულობით, ასევე, შევძელით საკანონმდებლო ცვლილებების ახალი პაკეტის მომზადება, რომელიც უკვე წარვუდგინეთ საქართველოს პარლამენტს და აქტიურად ვმუშაობთ მის ინიცირებაზე. საკანონმდებლო პაკეტი შეიცავს ადვოკატის საქმიანობასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა:

- სამოქალაქო დავებზე პირველ ინსტანციაში სასამართლო წარმომადგენლობა ექსკლუზიურად ადვოკატის მიერ;
- სასამართლო ხარჯების სამართლიანი განაწილების პრინციპი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით;
- უკანონო საადვოკატო საქმიანობის აკრძალვა;
- ფიზიკური პირის მიერ საადვოკატო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის საშეღავათო დაბეგვრა;
- შეღავათი სახელმწიფო ბაჟში ადვოკატის ჰონორართან დაკავშირებულ დავებზე; ადვოკატის სტაჟიორის გაზრდილი საპროცესო უფლებამოსილებები.

2

ადვოკატის უფლებების დაცვა 14

სოლიდარობა და კოლეგების თანადგომა 15

რეპრესირებულ ადვოკატთა რეაბილიტაციის კომისია 15

ადვოკატების მხარდაჭერა პანდემიის პირობებში 16

კორპორაციული შეთავაზებები ადვოკატებისთვის 19

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი 20

პროფესიული ეთიკა და მხარდაჭერა

პროფესიული ერთობა და მხარდაჭერა

ჩვენი საქმიანობის უმთავრესი პრიორიტეტი ბოლო 4 წლის განმავლობაში ადვოკატების პროფესიული ერთობის განმტკიცება, მათი მხარდაჭერა და პროფესიული უფლებების დაცვა იყო, რისთვისაც გადავდგით არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი:

ადვოკატის უფლებების დაცვა

ასოციაციის თავმჯდომარის უშუალო ხელმძღვანელობით და ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტების თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად შევძელით, რომ ადვოკატის უფლებების დარღვევის არც ერთი ფაქტი დროული და შედეგიანი რეაგირების გარეშე არ დარჩენილიყო. ამ პროცესში ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტების ფარგლებში გავმართეთ 60 სხდომა, განვიხილეთ და დასკვნა მოვამზადეთ 200-ზე მეტ ფაქტზე და ჩვენი კოლეგების მხარდასაჭერად სასამართლო წარმომადგენლობა განვახორციელეთ 9 საქმეზე, რომელთაგან 2 საქმე კოლეგების გამამართლებელი შედეგით დავასრულეთ, ხოლო 7 საქმეზე განვაგრძობთ წარმომადგენლობას.

სოლიდარობა და კოლეგების თანადგომა

ასოციაციის ბიუჯეტის ოპტიმიზაციის გზით, შევძელით მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების მობილიზება რთულ ვითარებაში მყოფი ჩვენი კოლეგების მხარდასაჭერად. შესაბამისად, 4 წლის განმავლობაში 180-ზე მეტ კოლეგას აღმოვუჩინეთ თანადგომა, რისთვისაც ასოციაციის ბიუჯეტიდან 200 000 ლარზე მეტი გამოიყო.



რეპრესირებულ ადვოკატთა რეაბილიტაციის კომისია

2005-2012 წლებში საქართველოს საერთო სასამართლოებმა 100-ზე მეტ ადვოკატს დასდო მსჯავრი, რომელთაგან არაერთი საქმე, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, რეპრესიის ნიშნებს შეიცავდა. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივით, 2018 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც მსჯავრდებული ადვოკატების საქმეები ინდივიდუალური მომართვის წესით შეისწავლა. კომისიაში შემოსული 14 განაცხადიდან 9 საქმეზე გაიცა სრული ან ნაწილობრივ მარეაბილიტირებელი დასკვნა, რომელიც საქართველოს პროკურატურას გადაეგზავნა. აღსანიშნავია, რომ 4 საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის პროცესი უკვე წარიმართა და ადვოკატები უდანაშაულოდ ცნეს, დანარჩენ საქმეებზე კი საქართველოს პროკურატურასთან აქტიურ მუშაობას ვაგრძელებთ.

ადვოკატების მხარდაჭერა პანდემიის პირობებში

პანდემიით განპირობებულმა შეზღუდვებმა საადვოკატო საქმიანობაც არაერთი მოულოდნელი გამოწვევის წინაშე დააყენა. პროცესების სწორად და ეფექტიანად მართვის გზით შევძელით, დროულად გვეპასუხა ყველა იმ გამოწვევისთვის, რომელიც საადვოკატო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას უქმნიდა საფრთხეს, კერძოდ:

- **დისტანციური სასამართლო სხდომები** – პანდემიიდან გამომდინარე, სასამართლოებში საქმეთა განხილვა დისტანციური წესით დაიწყო. დისტანციურ სასამართლო სხდომებში ადვოკატთა შეუფერხებლად მონაწილეობის მიზნით, ასოციაციის აპარატში შევქმენით ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი, რომელმაც ადვოკატებისთვის მოამზადა სხდომებში დისტანციურად მონაწილეობის ვიდეო ინსტრუქცია და მომართვის საფუძველზე ტექნიკური მხარდაჭერა გაუწია ასობით ადვოკატს. იმ წევრებისთვის კი, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა, შეიძინონ საჭირო ტექნიკური საშუალებები ან არ აქვთ წვდომა სათანადო ხარისხის ინტერნეტთან, პარტნიორი დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით, რეგიონულ ოფისში მოვაწყვეთ კომპიუტერული ოთახები, სადაც, რეგიონული კოორდინატორების დახმარებით, ადვოკატებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ დისტანციურ სასამართლო სხდომებში.

- **კომენდანტის საათი და ადვოკატების გადაადგილება** - გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების ამოქმედებისთანავე, ასოციაციის თავმჯდომარის ჩართულობით, მთავრობის საოპერაციო შტაბთან ადვოკატთა გადაადგილების სპეციალური წესი შევათანხმეთ და ადვოკატების გადაადგილება განსაკუთრებული პროფესიული აუცილებლობიდან გამომდინარე გამონაკლისად ჩაითვალა. ამ შეთანხმების განსახორციელებლად, ასოციაციის აპარატში შევქმენით 24-საათიანი ოპერატიული ჯგუფი და 1000-ზე მეტ ადვოკატს გავუწიეთ მხარდაჭერა დღე-ღამის განმავლობაში შეუფერხებელ გადაადგილებაში.

- **პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზიტი** - პანდემიით განპირობებული შეზღუდვებით შექმნილი ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ადვოკატთა ვიზიტებისას შექმნილმა რიგმა ადვოკატისა და მისი კლიენტის უშუალო კომუნიკაციას განსაკუთრებული დაბრკოლება შეუქმნა. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან სხვადასხვა შესაძლებელი ალტერნატივის განხილვის შედეგად, მივაღწიეთ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, დღის კონკრეტულ მონაკვეთში ყველა ოთახი ეთმობა ადვოკატისა და კლიენტის შეხვედრას. ამასთან, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან კოორდინაციით, ჩვენ შევქმენით პენიტენციურ დაწესებულებაში ადვოკატის ვიზიტის წინასწარ დაჯავშნის ელექტრონული პორტალი, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რიგის პრობლემის მოგვარებას.

- **ადვოკატთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმი** - პანდემიის პერიოდში განვახორციელეთ საოპერაციო ხარჯის იმგვარი ოპტიმიზაცია, რომ, ერთი მხრივ, არ შეგვიფერხებია ორგანიზაციის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელება, მეორე მხრივ კი, დაზოგილი თანხით შევძელით სოციალური დახმარების ფონდის ბიუჯეტის დამატებით 30 000 ლარით გაზრდა. აღნიშნულმა მოგვცა შესაძლებლობა, ერთჯერადი ფინანსური დახმარება აღმოგვეჩინა იმ ადვოკატებისთვის, რომლებიც პანდემიით გამოწვეული კრიზისიდან გამომდინარე, რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამ მექანიზმის ფარგლებში, ინდივიდუალური მომართვის საფუძველზე, ფინანსური მხარდაჭერა გავუწიეთ 12 კოლეგას.

ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი საპროცესო შეთანხმებისას ადვოკატის წარმომადგენლობის თაობაზე

საქართველოს პროკურატურასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იურიდიული დახმარების სამსახურთან ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, 2021 წლის ნოემბერში შედგა ურთიერთშეთანხმება, რომელიც სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატების საქმიანობისთვის მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს, კერძოდ:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო შეიმუშავებს და აღასრულებს შიდა უწყებრივ ინსტრუქციას, რომლის თანახმადაც გამომძიებლებს დაევალებათ, დაკავებულ პირს არ გაუწიონ რეკომენდაცია კონკრეტული ადვოკატის აყვანასთან დაკავშირებით;

- საქართველოს პროკურატურა შეიმუშავებს და აღასრულებს შიდა უწყებრივ ინსტრუქციას, რომლის თანახმადაც პროკურორებს დაევალებათ არ გაუწიონ რეკომენდაცია კონკრეტულ ადვოკატს ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების წარმოებისას. ამასთან, საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების დაწყების მომეტიდან ბრალდებულს მიეცემა გონივრული ვადა (არანაკლებ 24 საათისა) ადვოკატის მოსაწვევად (დაცვა შეთანხმებით) და მხოლოდ, ამის შემდეგ ამოქმედდება დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე;

- იურიდიული დახმარების სამსახური საზოგადოებრივი ადვოკატებისთვის შეიმუშავებს და აღასრულებს შიდა უწყებრივ ინსტრუქციას, რომლის თანახმადაც საპროცესო შეთანხმებისას სახელმწიფოს ხარჯზე სავალდებულო დაცვის საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში (დაცვა შეთანხმებით), საზოგადოებრივი ადვოკატები მიმართავენ სამსახურს საქმიდან ჩამოშორების შუამდგომლობით.

კორპორაციული შეთავაზებები სპეციალურად ადვოკატებისთვის

ასოციაციის წევრებისთვის სხვადასხვა სფეროში დამატებითი სარგებლის შექმნის მიზნით, 2020 წლიდან ავამუშავეთ კორპორაციული შეთავაზებების მექანიზმი სპეციალურად ადვოკატებისთვის. ამ დროისთვის უკვე წარმატებით ვაწარმოეთ მოლაპარაკება 12 კერძო კომპანიასთან, რომელთა სერვისითა თუ პროდუქტით სარგებლობა ასოციაციის წევრებს საშეღავათო ტარიფით შეუძლიათ, კერძოდ:

- **სადაზღვევო კომპანია არდი** - სპეციალური ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტები ადვოკატებისთვის, რომლითაც 280-ზე მეტი წევრი სარგებლობს.
- **ციტოს** სამედიცინო ცენტრში ადვოკატებისთვის PCR-ტესტის ღირებულება 90 ლარის ნაცვლად 60 ლარია.
- **ევექსის** კლინიკების ქსელში ადვოკატები შეღავათიანი პაკეტით სარგებლობენ ლაბორატორიულ, დიაგნოსტიკურ და მაღალტექნოლოგიურ კვლევებზე, ასევე სტომატოლოგიურ მომსახურებაზეც.
- **თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის** სამედიცინო მომსახურებაზე ადვოკატებისთვის 20%-იანი ფასდაკლება მოქმედებს.
- **კარაპს მედლაინის** ორივე ფილიალში ასოციაციის წევრები 10% იანი ფასდაკლებით სარგებლობენ.
- **ჯეოსელთან** თანამშრომლობით შევქმენით სპეციალური საიმიჯო სატელეფონო პაკეტი „ადვოკატი" - 25 ლარიანი სატელეფონო პაკეტი 15 ლარად, რომლითაც 300 -ზე მეტი ადვოკატი სარგებლობს.
- **სოკარ ჯორჯია** - სპეციალური ენერჯი ბარათი ადვოკატებისთვის ყველა ტიპის საწვავზე ფასდაკლებით.

- **მაზდა ცენტრ თეგეტასგან** Mazda-ს მარკის 10-მდე მოდელზე სპეციალური ფასდაკლება მოქმედებს ადვოკატებისთვის.
- **ტერმინალის** ოფისებში ასოციაციის ყველა წევრისთვის სპეციალური ფასდაკლება მოქმედებს. ადვოკატებს ფასდაკლებით თბილისის ყველა ოფისი, 24 საათის განმავლობაში ემსახურება.
- **რეგუსის** სამუშაო სივრცეების მომსახურებით ასოციაციის წევრები 50% იანი ფასდაკლებით სარგებლობენ.
- **„რ ჯგუფის"** სხვადასხვა მომსახურებაზე (რესტორანი,საკონფერენციო სივრცე, სამუშაო სივრცე, ღონისძიებების ორგანიზება, ქეითერინგი) ასოციაციის წევრებისთვის 20%- იანი ფასდაკლება მოქმედებს.

3

პროფესიული ადაპტაციის პროგრამა 24

ადვოკატის ფიცის დადების ცერემონია 25

მოქმედი ადვოკატების პროფესიული განვითარება 26

პუბლიკაციები 27

საერთაშორისო საქმიანობის ხარისხზე ზრუნვა

საადვოკატო საქმიანობის ხარისხზე ზრუნვა

ბოლო 4 წლის განმავლობაში ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საადვოკატო მომსახურების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება იყო, რისთვისაც გავატარეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა, როგორც ადვოკატის პროფესიაში შემოსვლის, ასევე განგრძობადი იურიდიული განათლების მიმართულებით.

პროფესიული ადაპტაციის პროგრამა

პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ამოქმედებით მნიშვნელოვანი რეფორმა გავატარეთ ადვოკატის პროფესიაში შემოსვლის სტანდარტის გაზრდის მიმართულებით. 2019 წლიდან ადვოკატი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა და გავლილი აქვს პროფესიული ადაპტაციის ერთწლიანი პროგრამა, რომელიც შედგება თეორიული ნაწილისა და მენტორ ადვოკატთან სტაჟირებისგან. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტრუქტურა შედგენილია იმგვარად, რომ ადვოკატობის მსურველ პირს შესაძლებლობა აქვს, შეიძინოს ყველა ის პროფესიული უნარი, რომელიც აუცილებელია წარმატებული საადვოკატო საქმიანობისთვის. 2021 წლის დასასრულისთვის ჩვენ უკვე მიღებული გვყავს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 6 ნაკადი, ჯამში 1107 მონაწილე, რომელთაგანაც 420 უკვე შემოუერთდა ადვოკატის პროფესიას.

ადვოკატის ფიცის დადების ცერემონია

2020 წლიდან საფუძველი ჩავუყარეთ სიმბოლური მნიშვნელობის ახალ ტრადიციას – ადვოკატის ფიცის დადების ცერემონიას. შესაბამისად, ნაცვლად ფურცელზე დატანილ ფიცის ტექსტზე საოფისე სივრცეში ხელმოწერისა, ჩვენ ყოველწლიურად ვმართავთ ოფიციალურ ღონისძიებას, რომლის ფარგლებშიც პროფესიული ადაპტაციის პროგრამის კურსდამთავრებული ადვოკატები საზეიმო ვითარებაში დებენ ადვოკატის ფიცს. აღნიშნულ ცერემონიას სიმბოლური დატვირთვა აქვს და ხაზს უსვამს ადვოკატის პროფესიის მნიშვნელობას, იმ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომელსაც ადვოკატი იღებს პროფესიაში შემოსვლის მომენტიდან.

მოქმედი ადვოკატების პროფესიული განვითარება

2019 წლიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადავდგით განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის სრულყოფის მიმართულებით. დავნერგეთ ადვოკატთა ტრენინგ საჭიროებების კვლევის მექანიზმი, რომლის შედეგებსაც ეფუძნება ყველა საგანმანათლებლო ღონისძიება. ასევე, განახლდა და გამრავალფეროვნდა საგანმანათლებლო ღონისძიებების ფორმატი და კლასიკური ტრენინგების გარდა, დაინერგა და გაიმართა ისეთი ფორმატის ღონისძიებები, როგორიცაა: კონფერენციები, საჯარო ლექციები, ვებინარები, ონლაინ მოდულები და სხვა.

ბოლო 4 წლის განმავლობაში ადვოკატების შემდგომი პროფესიული განვითარების მიზნით გავმართეთ:

ასევე, ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედებისთანავე შევიმუშავეთ ადვოკატთა სპეციალიზაციის სტანდარტი, რომელიც 4-დღიან კურსს მოიცავს. 2022 წლის მდგომარეობით, სპეციალიზაციის სტანდარტის შესაბამისად, ჩავატარეთ 67 კურსი და ბავშვთა უფლებების სფეროში საქმიანობის ლიცენზია მიენიჭა 2220 ადვოკატს.

პუბლიკაციები

ჩვენი კოლეგებისთვის საინტერესო და საჭირო საკითხებზე დამატებითი საინფორმაციო რესურსის შექმნის მიზნით, მუშაობა დავიწყეთ ასოციაციის ეგიდით შემუშავებული პუბლიკაციების გამოცემაზე. აღნიშნულ ინიციატივაზე მომდევნო წლებში კიდევ უფრო გავააქტიურებთ მუშაობას. მათ შორის, დავაფუძნებთ ადვოკატთა ასოციაციის გამომცემლობას, რაზეც უკვე მიმდინარეობს მუშაობა. ამ დროისთვის, სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციის მხარდაჭერით, ჩვენ გამოვეცით შემდეგი პუბლიკაციები:

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინებები საქართველოს წინააღმდეგ - კრებული 2 ტომად;
- მტკიცებულებათა მოპოვებისა და სამართლებრივი დოკუმენტების დასაბუთების წესი - სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის;
- ეთიკის კომისიის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიმოხილვა;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკის სახელმძღვანელო.

ინფრასტრუქტურული პროექტები

4

ადვოკატთა სახლი თბილისში 30

ზუგდიდის რეგიონული ცენტრი 31

ინფრასტრუქტურული პროექტები

ჩვენი პროფესიის საზოგადოებრივი იმიჯის შემდგომი ზრდის ხელშეწყობისა და ადვოკატებისთვის თავიანთ ასოციაციასთან კომფორტული ურთიერთობის შესაძლებლობის შექმნის მიზნით, ბოლო 4 წლის განმავლობაში განვახორციელეთ ძალზედ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა: ადვოკატურის სახლის მშენებლობა თბილისში და რეგიონული ცენტრის გახსნა ზუგდიდში.

ადვოკატთა სახლი თბილისში

2020 წელს საძირკველი ჩავუყარეთ თანამედროვე და მაღალი სტანდარტების შენობას, სადაც ადვოკატთა სახლი განთავსდება. აქტიური სამუშაოების შედეგად უკვე დავასრულეთ მშენებლობა და უახლოეს პერიოდში ადვოკატთა სახლის კარი ღია იქნება თითოეული ჩვენი წევრისთვის. ადვოკატთა სახლში 2022 წლიდან ასოციაციის ადმინისტრაცია, სასწავლო ცენტრი და ეთიკის კომისია იმუშავებს. ასევე, გამოყოფილია ადგილები კონფერენციებისა და მნიშვნელოვანი შეხვედრებისთვის და განთავსებულია თავისუფალი სამუშაო სივრცეები ადვოკატებისთვის.

სასიხარულოა, რომ ადვოკატთა სახლის არქიტექტურული პროექტი საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსის ყურადღების ცენტრშიც მოექცა და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული არქიტექტურული ჯილდოს Global Architecture & Design Award-ის გამარჯვებული გახდა.

ასოციაციის ახალი ოფისი წარმოადგენს ქართველ ადვოკატთა არაერთი თაობის ოცნების ხორცშესხმას – ადვოკატურას ჰქონდეს საკუთარი თანამედროვე, პრესტიჟული და კომფორტული სივრცე, რომლითაც შეუზღუდავად ისარგებლებს ყველა წევრი.

GLOBAL ARCHITECTURE & DESIGN AWARD-ის გამარჯვებული

ზუგდიდის რეგიონული ცენტრი

თელავის, ქუთაისის და ბათუმის შემდეგ, ახლა უკვე ზუგდიდშიც ფუნქციონირებს ადვოკატთა ასოციაციის რეგიონული ცენტრი. სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, ზუგდიდის ცენტრში, 260 კვ.მ-ის ფართი უვადო სარგებლობაში უსასყიდლოდ გადმოგვეცა. მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ზუგდიდის რეგიონული ცენტრი 2018 წელს გავხსენით, რამაც მოგვცა შესაძლებლობა უფრო ხარისხიანად მოვემსახუროთ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ადვოკატებს. ასევე, აღნიშნული წევრებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გავხადეთ როგორც განგრძობადი იურიდიული განათლების აქტივობებში მონაწილეობა, ასევე ასოციაციის საკომიტეტო თუ სხვა საქმიანობაში ჩართულობა.

5

ფილმი "ადვოკატურის 100 წლის ისტორია" 34

წიგნი "თავისუფალი ადამიანი" 34

რეკლამა „ადვოკატის როლი საზოგადოებაში" 35

100 წლის იუბილე 36

ახალი ვებ-გვერდი 37

სოციალური პასუხისმგებლობის წახალისება 31

ჟურნალი „ჩემი ადვოკატი" 40

ადვოკატის სამკერდე ნიშანი 40

ასოციაციის საფეხბურთო ნაკრები 41

ადვოკატის იმიჯზე გრძელვადიანი

პროფესიის იმიჯზე ზრუნვა

ადვოკატის პროფესია ხარისხიანი, სანდო და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. საადვოკატო საქმიანობის სათანადო გარემოში წარმართვისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, საზოგადოების თითოეული წევრი სწორად და სრულყოფილად აცნობიერებდეს ადვოკატის როლსა და ფუნქციას სამართლებრივი სახელმწიფოს შენების გზაზე. შესაბამისად, ადვოკატის იმიჯზე ზრუნვა და პროფესიის პოპულარიზაცია ბოლო წლების განმავლობაში ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა და ამ მიმართულებით არაერთი პროექტიც განვახორციელეთ.

დოკუმენტური ფილმი „ადვოკატურის 100 წლის ისტორია“

ჩვენი ინიციატივითა და მხარდაჭერით, ცნობილმა ქართველმა დოკუმენტალისტმა – თომა ჩაგელიშვილმა ქართული ადვოკატურის შესახებ დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ფილმი თვალსაჩინოდ აღწერს იმ რთულ, მაგრამ წარმატებულ გზას, რომელიც ჩვენმა პროფესიამ გაიარა. ფილმის საპრეზენტაციო ჩვენება 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ოფიციალურ საზეიმო მიღებაზე გავმართეთ, ასოციაციის საკომუნიკაციო არხების საშუალებით კი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვისაც გავხადეთ ხელმისაწვდომი.



წიგნი - „თავის უფალი ადამიანი“

ასევე, ჩვენი ინიციატივითა და მხარდაჭერით, ცნობილმა ქართველმა მწერალმა – დათო ტურაშვილმა გამოსცა წიგნი სახელწოდებით – „თავის უფალი ადამიანი“, რომელიც ავტორმა ადვოკატის პროფესიას მიუძღვნა. „თავისუფალი ადამიანი“ ადვოკატურის განვითარების მნიშვნელოვანი მომენტებისა და იმ გამოჩენილი ქართველების შესახებ მოგვითხრობს, რომლებმაც თავი სამართლისა და ქართული ადვოკატურის განვითარებას მიუძღვნეს.

წიგნის პრეზენტაცია ევროპის საბჭოს მხარდაჭერით თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გავმართეთ და პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით წიგნის სასაჩუქრე ვერსიები ფართოდ გავავრცელეთ. ამასთან, შეთანხმებას მივაღწიეთ „სულაკაურის გამომცემლობასთან“, რის საფუძველზეც წიგნი უკვე გამოიცემა მაღალი ტირაჟით და ხელმისაწვდომია წიგნის მაღაზიებში, საზოგადოების ყველა წევრისთვის.

სოციალური რეკლამა – „ადვოკატის როლი საზოგადოებაში“

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით მოვამზადეთ სოციალური რეკლამა საზოგადოებაში ადვოკატის როლის შესახებ. ვიდეორგოლი ადვოკატის პროფესიული იმიჯის გაუმჯობესებასა და პროფესიის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. სოციალური რეკლამა სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით გავავრცელეთ, მათ შორის, რამდენიმე თვის განმავლობაში გადაიცემოდა მთავარი სატელევიზიო არხების მეშვეობით.

100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება

საქართველოს ეროვნულ არქივში მოვიძიეთ საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ნოემბრის დეკრეტი, რომლითაც გაუქმდა რუსეთის იმპერიის ტფილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც რწმუნებულთა ინსტიტუტი და დაარსდა დამოუკიდებელი საქართველოს ნაფიც ვექილთა (ადვოკატთა) საბჭო, რითაც საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებელ ქართულ ადვოკატურას. აღნიშნული დოკუმენტით დასტურდება, რომ დამოუკიდებელი ქართული ადვოკატურა 2019 წელს 100 წლის ისტორიას ითვლიდა,

რის აღსანიშნავადაც გავმართეთ არაერთი კულტურული, სპორტული თუ საგანმანათლებლო ღონისძიება. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის 20-ზე მეტი ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტები და დელეგაციები, ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) პრეზიდენტი, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) პრეზიდენტი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ელჩები და სხვა მაღალი რანგის დიპლომატები ესწრებოდნენ.

ახალი ვებ-გვერდი

ჩვენი პროფესიის ერთ-ერთი უმთავრესი საიმიჯო ბარათი სწორედ ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდია. ამიტომ, შევქმენით და ავამოქმედეთ ახალი, თანამედროვე და მრავალფუნქციური ვებგვერდი, რომლის პრეზენტაციაც 2018 წლის 19 დეკემბერს გავმართეთ. ახალ ვებგვერდში საიმიჯო ვიზუალის გარდა ინტეგრირებულია სხვადასხვა პრაქტიკული ფუნქციონალი, მათ შორის, ადვოკატებისათვის გაადვილებულია ასოციაციის ტრენინგებისა თუ სხვადასხვა ღონისძიების შესახებ ინფორმაციის მიღება და რეგისტრაცია; ასევე, ყველა ადვოკატს აქვს შესაძლებლობა, დისტანციურად შექმნას საკუთარი პროფილი. ახალი ვებგვერდი მაქსიმალურად ორიენტირებულია სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირის კომფორტზეც – მრავალმხრივი, თანამედროვე ფუნქციების საშუალებით თითოეულ მოქალაქეს შეეძლება, მარტივად მოძებნოს სასურველი ადვოკატი თუ ბიურო, გაეცნოს და მიიღოს სხვადასხვა ტიპის საჯარო ინფორმაცია.



პროფესიის სოციალური პასუხისმგებლობის წახალისება

ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედებს უფასო იურიდიული დახმარების სისტემა, ქვეყანაში კვლავაც არიან ადამიანები, რომლებზეც არ ვრცელდება აღნიშნული ორგანიზაციის მანდატი და შეჭირვებული მდგომარეობიდან გამომდინარე, კვალიფიციური იურიდიული დახმარების გარეშე რჩებიან. ვინაიდან ადვოკატის პროფესია, თავისი არსით, ადამიანების დახმარებასა და მხარდაჭერას გულისხმობს, ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დავისახეთ პრო ბონო იურიდიული დახმარების პოპულარიზაცია-განვითარება და ამ მიმართულებით სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტიც განვახორციელეთ:

- ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით განვახორციელეთ პროექტი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და პალიატიური მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების უფასო იურიდიულ დახმარებას ითვალისწინებდა. პროექტის ფარგლებში იურიდიული დახმარება აღმოვუჩინეთ 33 ბენეფიციარს. მათ შორის, სასამართლოში წარმატებით წარმომადგენლობა განვახორციელეთ 7 საქმეზე.

„აღმოჩნდა, რომ ყველაზე მთავარი ამოცანა, რაც ჩემთვის და ჩემი შვილისთვის იყო საჭირო პრო ბონო პროექტმა შეასრულა: დავძლიეთ შიში, დაისახა პრობლემის გადაჭრის სწორი გზები და რწმენა, რწმენა იმისა, რომ არა ვართ მარტო.

- ნანა ლომაძე
იურიდიული დახმარების პროექტის ბენეფიციარი

- ევროპის საბჭოს მხარდაჭერით სოციალურად მოწყვლადი მარტოხელა მშობლებისთვის განვახორციელეთ უფასო იურიდიული დახმარების პროექტი, რომლითაც 31-მა ადამიანმა ისარგებლა. პროექტის წარმატებულ და მნიშვნელოვან შედეგებს სპეციალური სტატიით გამოეხმაურა ევროპის საბჭოს ცენტრალური ოფისი და გამოთქვა მზადყოფნა, კვლავაც დაუჭიროს მხარი ადვოკატთა ასოციაციას ამ მიმართულებით.

- დავამკვიდრეთ უფასო იურიდიული დახმარების დღეები, რომლის ფარგლებშიც ასოციაციის ოფისებში კვალიფიციური ადვოკატები უსასყიდლოდ უწევენ კონსულტაციას იმ თანამოქალაქეებს, რომელთაც იურიდიული დახმარების მისაღებად ფინანსური რესურსი არ გააჩნიათ.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით აქტიურად ვითანამშრომლეთ საერთაშორისო ექსპერტთან, რომელმაც შეისწავლა ადვოკატთა ასოციაციის შესაძლებლობები და გამოწვევები პრო ბონო საქმიანობის მიმართულებით. აღნიშნული კვლევის საფუძველზე, შევიმუშავეთ სპეციალური კონცეფცია, რომელშიც ასახულია პრო ბონო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდისთვის საჭირო რეკომენდაციები და საუკეთესო ევროპული პრაქტიკა. ამჟამად აქტიურად ვმუშაობთ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებასა და პრო ბონო საქმიანობის შემდგომ განვითარებაზე.

განახლებული ფორმატის ჟურნალი – „ჩემი ადვოკატი“

2019 წელს სრულად განვაახლეთ ასოციაციის ოფიციალური ჟურნალის კონცეფცია და ფორმატი. ჟურნალი „ჩემი ადვოკატი“ თანამედროვე გამოწვევებსა და მიმდინარე აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზეა ორიენტირებული და არა მხოლოდ იურიდიული წრეებისთვის არის საინტერესო, არამედ ფართო საზოგადოებისთვის სასარგებლო და საჭირო ინფორმაციასაც მოიცავს. ამ დროისათვის გამოცემული გვაქვს განახლებული ჟურნალის ექვსი ნომერი, რომლებიც საზოგადოების ფართო ფენებისთვის ხელმისაწვდომია პრესის ჯიხურებში. აღნიშნული ხელს უწყობს როგორც ჩვენი პროფესიისა და ასოციაციის პოპულარიზაციას, ასევე სამართლებრივ საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას.

ადვოკატის სამკერდე ნიშანი

ადვოკატის პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით შევქმენით სამკერდე ნიშანი, რომელზეც წარწერით – „ადვოკატი“ ასოციაციის ლოგოა გამოსახული. სამკერდე ნიშნის ტარება ასოციაციის ნებისმიერ წევრს შეუძლია და ის პროფესიული იმიჯის ხაზგასმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია.

ასოციაციის საფეხბურთო ნაკრები

ადვოკატებს შორის შიდა ტურნირის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ ასოციაციის საფეხბურთო ნაკრები, რომელმაც არაერთ საერთაშორისო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. წელს, პირველად, ჩვენი საფეხბურთო ნაკრები „მასტერ ლიგაში“ თამაშობს და მოწინავე პოზიციებს იკავებს. გუნდის მწვრთნელი თენგიზ სულაქველიძეა. ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო გუნდი სამომავლოდ სხვადასხვა საერთაშორისო ჩემპიონატში აპირებს მონაწილეობას და ამ სფეროშიც წარმატებით წარმოაჩენს ქართულ ადვოკატურას.

6

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო 44

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა 45

საერთო კრება და მაღალი დონის კონფერენცია 46

საპარლამენტო მოსმენებში ჩართულობა და მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების სისტემის დანერგვა.....47

ადვოკატურის როლი მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაში

ადვოკატურის როლი მართლმსაჯულების სისტემის რეფორმებში

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას დამოუკიდებელი, სანდო და ხარისხიანი მართლმსაჯულების სისტემის აშენება წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაში სხვადასხვა ფორმატის გამოყენებითა და ინიციატივის განხორციელებით, მნიშვნელოვნად გავზარდეთ ადვოკატურის როლი და ჩართულობა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების პროცესში.

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო

ჩვენი ინიციატივითა და შესაბამის უწყებებსა თუ საერთაშორისო პარტნიორებთან აქტიური მუშაობით, საფუძველი ჩაეყარა ე.წ. ბენჩ-ბარის ფორმატის ინსტიტუციონალიზაციას. 2020 წლის 16 ივლისს ადვოკატთა ასოციაციისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეებმა და გენერალურმა პროკურორმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის საფუძველზეც ოფიციალურად დაარსდა „მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭო" (ბენჩ-ბარი). აღნიშნული საბჭოს მიზანია იურიდიულ პროფესიათა შორის რეგულარული შეხვედრებისა და დისკუსიების გზით მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა და კანონის უზენაესობის განმტკიცება. „მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს" დაარსებიდან დღემდე პროფესიათა შორის უკვე გაიმართა 4 შეხვედრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა:

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. აღსანიშნავია, რომ შეხვედრიდან მალევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი;

- ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი და პანდემიიდან გამომდინარე გარემოებების ფორს-მაჟორად მიჩნევის სამართლებრივი საფუძვლები;
- აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები;
- ბავშვთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები.

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმა

მართლმსაჯულების სისტემის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე, შევიმუშავეთ და საზოგადოებას წარვუდგინეთ მართლმსაჯულების რეფორმის სამოქმედო გეგმა – „ადამიანზე ორიენტირებული მართლმსაჯულებისთვის". სამოქმედო გეგმა სანდო, გამჭვირვალე და ხარისხიანი მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული და, მათ შორის, მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის გაძლიერება; კომერციული დავის განხილვის მიზნით სასამართლო სისტემის ფარგლებში მსაჯული მოსამართლის ინსტიტუტის შემოტანა;

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დამოუკიდებელი ინსტიტუტების წარმომადგენლობის უზრუნველყოფა; მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (ბენჩ-ბარის) მექანიზმის შემდგომი გაძლიერება და სხვა. აქტიურად განვაგრძობთ პარტნიორ ინსტიტუციებთან მუშაობას, სამოქმედო გეგმაში მოცემული ამოცანების ადვოკატირებისა და განხორციელების მიზნით.

რიგგარეშე საერთო კრება და მაღალი დონის კონფერენცია უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესთან დაკავშირებით

2019 წლის თებერვალში, ადვოკატთა ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრებაზე მივიღეთ საგანგებო რეზოლუცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტისათვის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა სიის დაჩქარებული წარდგენის ფორმამ და სიის ზოგიერთი კანდიდატის წინააღმდეგობრივმა გამოცდილებამ სასამართლოს დახურულ სისტემად ჩამოყალიბების საფრთხე შექმნა, რაც აზიანებდა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობას.

საერთო კრების რეზოლუციის მიღების კვალდაკვალ, აქტიურად ვიყავით ჩართული იმ პროცესებში, რომლებიც უკავშირდებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განწესების ყველა ეტაპის გამჭვირვალობის, ღიაობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით წარმართვას – გავავრცელეთ არაერთი განცხადება თუ მოწოდება და გავმართეთ არაერთი შეხვედრა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, მათ შორის, ევროკავშირის ელჩთან, ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელთან, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის დირექტორთან, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პოლიტიკური საკითხების ხელმძღვანელსა და იუსტიციის დეპარტამენტის მრჩეველთან იურიდიულ საკითხებში, ვენეციის კომისიასთან, ევროპის ადვოკატთა და იურისტთა პროფესიულ გაერთიანებებთან.

ამავე საკითხთან დაკავშირებით ვუმასპინძლეთ კონფერენციას, რომელსაც სხვა მაღალი რანგის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ესწრებოდნენ. კონფერენციის ფარგლებში ვიმსჯელეთ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესის სწორად, გამჭვირვალედ, ობიექტურად და სანდოდ წარმართვის მნიშვნელობაზე ქვეყნის როგორც დემოკრატიული, ასევე ეკონომიკური განვითარებისთვის.

საპარლამენტო მოსმენებში ჩართულობა და მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების სისტემის დანერგვა

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის გამჭვირვალედ და ობიექტურად წარმართვის მიზნით, აქტიურად ვმონაწილეობდით პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში კანდიდატთა მოსმენის პროცესში. ჩვენი ჩართულობის ეფექტიანობის, ასევე, ჩვენი შეფასებების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, ასოციაციის მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტის ფარგლებში შევქმენით სამუშაო ჯგუფი, რომელმაც USAID/PROLoG-ისა და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) ექსპერტთა მხარდაჭერით შეიმუშავა კანდიდატთა შეფასების სპეციალური მეთოდოლოგია, რომლის პრეზენტაციაც 2021 წლის 26 ოქტომბერს გაიმართა. მოსამართლეთა შერჩევის სამომავლო პროცესებშიც კვალიფიციურად ჩართულობის მიზნით, პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აღნიშნულ მეთოდოლოგიას სისტემური სახით ვნერგავთ ასოციაციაში.

საკომიტეტო საქმიანობა

7

საკომიტეტო საქმიანობა 50

საკომიტეტო საქმიანობა

ასოციაციის ანალიტიკური შესაძლებლობების გაზრდისა და იურიდიულ სფეროში მიმდინარე რეფორმებსა თუ საკანონმდებლო პროცესებში ადვოკატურის კვალიფიციური ჩართულობის მიზნით, ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად დავისახეთ ასოციაციაში საკომიტეტო საქმიანობის გაძლიერება. ამისთვის, 2018 წლიდან ასოციაციაში მუშაობს არაერთი თემატური კომიტეტი, რომლის საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობა ასოციაციის თითოეულ წევრს აქვს. კერძოდ, ასოციაციის თბილისის ოფისში აქტიურად საქმიანობს 15 კომიტეტი, ხოლო რეგიონების მასშტაბით – 17. ბოლო 4 წლის განმავლობაში ასოციაციის კომიტეტების ფარგლებში, ჯამში, 371 სხდომაზე მეტი გავმართეთ, რის საფუძველზეც შევძელით, აქტიურად წარმოგვედგინა ჩვენი პროფესიის ხმა და პოზიცია ქვეყანაში მიმდინარე არაერთ მნიშვნელოვან პროცესში, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი;
- აღსრულების შესახებ კანონპროექტი;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტი, საკრედიტო ურთიერთობებისა და ჭარბვალიანობის თაობაზე;

- მომხმარებელთა უფლებების შესახებ კანონპროექტი;
- გადახდისუუნარობის შესახებ კანონპროექტი;
- „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონპროექტი;
- „მედიაციის შესახებ“ კანონპროექტი;
- საპროცესო შეთანხმების შესახებ კანონმდებლობის დახვეწის საკითხები;
- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუციის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები;
- ცვლილებები „შრომის კოდექსში“;
- „ამნისტიის შესახებ“ კანონი და სხვა.

ასოციაციის საკომიტეტო საქმიანობის შემდგომი გაძლიერებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ევროპის საბჭოს მხარდაჭერითა და საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით, შევიმუშავეთ სპეციალური სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც საკომიტეტო საქმიანობა გახდება ასოციაციის ანალიტიკური საქმიანობის მთავარი მამოძრავებელი ძალა. აღნიშნული სტრატეგიის პრეზენტაციას 2021 წლის 22 ოქტომბერს ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელიც დაესწრო.

8

საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება

საერთაშორისო კონფერენციები და ღონისძიებები თბილისში 54

თანამშრომლობა ადვოკატთა საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IBA) 56

თანამშრომლობა აშშ-ის პროფესიულ და აკადემიურ ორგანიზაციებთან 56

ქართული ადვოკატურის აღიარება ევროპულ დონეზე 59

CCBE-ის მხარდაჭერა ქართული ადვოკატურისადმი 60

თანამშრომლობა დიპლომატიურ კორპუსთან 61

საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება

ბოლო 4 წელი ქართული ადვოკატურისთვის განსაკუთრებით გამორჩეულია, საერთაშორისო თანამშრომლობისა და კავშირების გაფართოების კუთხით. საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით ჩვენი კომპლექსური და აქტიური მუშაობის შედეგად, ქართულმა ადვოკატურამ სათანადო აღიარება მოიპოვა ევროპულ და საერთაშორისო დონეზე.

საერთაშორისო კონფერენციები და ღონისძიებები თბილისში

2018-19 წლებში, პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების დაწესებამდე, თბილისში ვუმასპინძლეთ ადვოკატთა 2 საერთაშორისო კონფერენციას, რომლებშიც 400-ზე მეტი დელეგატი მონაწილეობდა, მათ შორის – 20-ზე მეტი ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტები და დელეგაციები, CCBE-ის პრეზიდენტი, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი, სხვადასხვა ქვეყნის ელჩები და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. საერთაშორისო კონფერენციების ფარგლებში განვიხილეთ საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის – საადვოკატო საქმიანობის ექსკლუზიურობა, პროფესიაში შესვლის სტანდარტები, პროფესიული ეთიკის საკითხები და სხვა.

ასევე, ჰონგ-კონგისა და ევროპის ადვოკატთა ასოციაციებთან აქტიური თანამშრომლობით, საფუძველი ჩავუყარეთ თბილისის იურიდიულ ფორუმს, რომელსაც იურისტებთან ერთად სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესწრეების წარმომადგენლებიც ესწრებიან. პანდემიის დასრულების შემდეგ თბილისის იურიდიული ფორუმი ყოველწლიურად გაიმართება, რაც ჩვენს წევრებს

შესაძლებლობას მისცემს, დაამყარონ მნიშვნელოვანი პროფესიული კავშირები და გაეცნონ სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ ბიზნესგარემოსა და საქმიანობის შესაძლებლობებს.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ფარგლებში, თბილისში ვუმასპინძლეთ „თურქულენოვან და მონათესავე ქვეყნების ადვოკატთა გაერთიანებების" (TURK-AV) აღმასრულებელი საბჭოს სხდომას. აღსანიშნავია, რომ TURK-AV აერთიანებს საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და აზიის 10-ზე მეტი ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციებს და მილიონზე მეტ ადვოკატს, რაც სამართლებრივი თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ფორმატია.

თანამშრომლობა ადვოკატთა საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IBA)

ჩვენი კოლეგებისთვის დამატებითი პროფესიული შესაძლებლობების შექმნის მიზნით აქტიურად დავიწყეთ თანამშრომლობა ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუციასთან, როგორიცაა ადვოკატთა საერთაშორისო ორგანიზაცია. ამ თანამშრომლობამ შესაძლებელი გახადა, რომ IBA-ის სპეციალური სტიპენდიის ფარგლებში, კონკურსის საფუძველზე შერჩეულ ჩვენს 5 ახალგაზრდა კოლეგას მონაწილეობა მიეღო ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში გაიმართა და რომელშიც 130-ზე მეტი ქვეყნის 6000 ადვოკატი მონაწილეობდა. IBA-სთან კვლავაც ვაგრძელებთ მუშაობას თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატსა და შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

აქტიური თანამშრომლობა აშშ-ის პროფესიულ და აკადემიურ ორგანიზაციებთან

პირველად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს შეთანხმებებს მივაღწიეთ ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიულ გაერთიანებებთან. ასევე, მოლაპარაკებების შედეგად შევძელით და ახალი შესაძლებლობები შევქმენით ქართველი ადვოკატებისთვის, პროფესიული განვითარებისა და საერთაშორისო მიმართულებით ჩართულობის თვალსაზრისით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, დავით ასათიანისა და აღმასრულებელი დირექტორის, გიორგი ჭეხანის ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში:

საქართველოს სექცია გავხსენით ნიუ იორკის შტატის ადვოკატთა ასოციაციაში

ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და ნიუ იორკის შტატის ადვოკატთა ასოციაციის (NYSBA) პრეზიდენტმა, ენდრიუ ბრაუნმა, მოაწერეს ხელი.

საქართველოს სექციის ფარგლებში, ნიუ იორკის ადვოკატთა ასოციაციის მხარდაჭერითა და ჩართულობით გაიმართება შეხვედრები, კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები და სხვა სახის ღონისძიებები, რაც ქართველ ადვოკატებს ამერიკული პრაქტიკის გაცნობისა და უცხოელ კოლეგებთან მჭიდრო პროფესიული ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას მისცემს.

სპეციალური სტიპენდიის პროგრამა ავამოქმედეთ ქართველი ადვოკატებისთვის სირაქიუზის უნივერსიტეტში

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტის – სირაქიუზის სამართლის სკოლასთან გავაფორმეთ, მომდევნო აკადემიური წლიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეები სპეციალური სტიპენდიით ისარგებლებენ. სტიპენდია ყველა სასწავლო პროგრამაზე ვრცელდება – მაგისტრატურა (LLM), დოქტორანტურა (PhD), იურის დოქტორი (JD) – და პროგრამის ღირებულების, მინიმუმ, 50%-იან თანადაფინანსებას მოიცავს.

მემორანდუმი, რომელსაც ქალაქ სირაქიუზში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და სირაქიუზის უნივერსიტეტის

სამართლის სკოლის დეკანმა, კრეგ ბოიზმა, მოაწერეს ხელი, გრძელვადიანი პროგრამის გარდა, სხვადასხვა მოკლევადიან გაცვლით და კვლევით პროგრამაში ადვოკატთა ასოციაციის წევრების, ლექტორებისა და ტრენერების მონაწილეობასაც ითვალისწინებს.

სხვადასხვა მიმართულებით აქტიურ თანამშრომლობაზე შევთანხმდით ქალაქ ნიუ იორკის (NYC) ადვოკატთა ასოციაციასთან

დავით ასათიანსა და ქალაქ ნიუ იორკის ადვოკატთა ასოციაციის (NYCBA) პრეზიდენტ შეილა ბოსტონს შორის შეთანხმების ფარგლებში ქალაქ ნიუ იორკის ადვოკატთა ასოციაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შემდგომ ინსტიტუციურ განვითარებაში, პრო-ბონო მიმართულებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის გაძლიერებაში აქტიურად დაუჭერს მხარს.

ქართველი ადვოკატებისთვის ახალი შესაძლებლობები შევქმენით ამერიკელ კოლეგებთან თანამშრომლობის მიმართულებით

თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და აშშ-ის სასამართლოების ნაციონალური ცენტრის (NCSC) ვიცე-პრეზიდენტმა, ჯეფრი აპერსონმა, მოაწერეს ხელი. მემორანდუმი ქართველი და ამერიკელი იურისტების ჩართულობით ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, სამუშაო შეხვედრებისა და სხვა სახის ღონისძიებების გამართვას ითვალისწინებს.

აქტიური თანამშრომლობა დავიწყეთ ვაშინგტონის ადვოკატთა ასოციაციასთან (DC Bar)

DC Bar-ის ხელმძღვანელებთან შეხვედრის ფარგლებში თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატზე შევთანხმდით, მათ შორის – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში პრო ბონო იურიდიული დახმარების სისტემის ინსტიტუციონალიზაციის, სამოსამართლო კანდიდატების შეფასების სისტემის სრულყოფისა და განგრძობადი იურიდიული განათლების მიმართულებით.

მჟიდრო ურთიერთობები განვაახლეთ ამერიკის ადვოკატთა ასოციაციასთან (ABA)

ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის, ABA ROLI-ის დირექტორ ალბერტო მორასთან და ABA-ის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრის ფარგლებში შევთანხმდით, რომ ABA აქტიურ თანამშრომლობას განაახლებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან და მხარს დაგვიჭერს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებში, როგორიცაა ჩვენი ქვეყნის იურიდიული პროფესიისა და მართლმსაჯულების სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევების დაძლევა.

ქართული ადვოკატურის კიდევ ერთი აღიარება ევროპულ დონეზე

დავით ასათიანი ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (AEA-EAL) ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. ეს არის პირველი შემთხვევა ევროპის ადვოკატთა პროფესიული გაერთიანებების ისტორიაში, როდესაც ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის ადვოკატურის წარმომადგენელი გახდა, რაც ქართული ადვოკატურის განვითარების, დამოუკიდებლობისა და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის აღიარებასა და ჩვენ მიმართ გამოხატულ კიდევ ერთ მკაფიო მხარდაჭერას წარმოადგენს.

CCBE-ის მტკიცე მხარდაჭერა დამოუკიდებელი და ერთიანი ქართული ადვოკატურისადმი

„ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოების საბჭომ" (CCBE), რომელიც წარმოადგენს 45 ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციებსა და მილიონზე მეტ ევროპელ ადვოკატს, კიდევ ერთხელ გამოხატა მტკიცე მხარდაჭერა საქართველოში ერთიანი და დამოუკიდებელი საადვოკატო პროფესიის მიმართ. CCBE უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ძლიერი და დამოუკიდებელი საადვოკატო პროფესიის არსებობას როგორც საქართველოში, ასევე ევროპის სხვა ქვეყნებში. შესაბამისად, CCBE-იმ შეიმუშავა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინა „სასამართლოს მეგობრის" მოსაზრება (amicus curiae) საკონსტიტუციო საქმეზე ნომრით – 1/13/1424. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგენილ „სასამართლოს მეგობრის" მოსაზრებაში მართლმსაჯულების სფეროში ევროპის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და გავლენიანი ორგანიზაცია ნათლად განმარტავს თვითრეგულირებადი საადვოკატო პროფესიის არსს და მის მნიშვნელობას კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის შენების პროცესში და მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, უარი ეთქვას წარდგენილ საკონსტიტუციო სარჩელს, როგორც უსაფუძვლოს და „ამით უზრუნველყოს და დაიცვას საქართველოში ძლიერი და დამოუკიდებელი საადვოკატო პროფესიის შენარჩუნება, როგორც ეს გარანტირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ." CCBE-ის აღნიშნული პოზიცია წარმოადგენს როგორც ჩვენი ერთიანი პროფესიული გაერთიანების, ასევე თითოეული ადვოკატის საქმიანობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტკიცე მხარდაჭერას.

თანამშრომლობა დიპლომატიურ კორპუსთან

იურიდიული პროფესიის შემდგომი გაძლიერებისა და ჩვენი ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემის სანდოობის, ხარისხის და დამოუკიდებლობის საკითხებთან დაკავშირებით აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოში წარმოდგენილ დიპლომატიურ კორპუსთან და არაერთი მაღალი დონის შეხვედრაც გავმართეთ:

- ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან – კელი დეგნანთან;
- ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორთან – პიტერ ვიბლერთან;
- დიდი ბრიტანეთის ელჩებთან – ჯასტინ მაკკენზი სმიტთან და მარკ კლეიტონთან;
- ევროკავშირის ელჩთან – კარლ ჰარცელთან;
- ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელებთან – კრისტიან ურსესა და ნატალია ვუტოვასთან;
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩთან – ჰუბერტ ქნირშთან;
- საფრანგეთის ელჩთან – დიეგო კოლასთან;
- თურქეთის რესპუბლიკის ელჩთან – ფატმა სერენ იაზგანთან.

ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერება

9

ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერება 64

ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერება

კონსტრუქციულ ფორმატში აქტიური თანამშრომლობა დავიწყეთ იმ ძირითად ინსტიტუციებთან, რომელთა ერთობლივი ძალისხმევაც მნიშვნელოვანია ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრების, სამართლიანი გარემოს შექმნისა და ხარისხიანი მართლმსაჯულებისათვის. მათ შორის გავაფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ უწყებებთან:

საქართველოს პროკურატურა

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს კონკურენციის სააგენტო

საქართველოს პარლამენტი

10

ადვოკატის პორტალი 68

განახლებული ფორმატის ონლაინ მოდულები 68

ეთიკის კომისიის ელექტრონული პორტალი 69

თანამედროვე საარჩევნო სისტემა 69

ინანაადღრეოვე ფეიფოლოგიები ასოციაციის საქმიანობაში

თანამედროვე ტექნოლოგიები ასოციაციის საქმიანობაში

ადვოკატის პორტალი

USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით დავნერგეთ თანამედროვე ფუნქციონალის მქონე ონლაინ პლატფორმა – ადვოკატების ვებპორტალი, რომლის საშუალებითაც ასოციაციის წევრ ადვოკატებს, მენტორ ადვოკატებს, ადაპტაციის პროგრამისა და მოსამზადებელი კურსის მსმენელებს შესაძლებლობა აქვთ, დისტანციურად მართონ საგანმანათლებლო პროცესი. ვებპორტალი სრულად არის მორგებული მომხმარებლის საჭიროებაზე. პორტალის საშუალებით შესაძლებელია ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო ღონისძიებებზე რეგისტრაცია, აგრეთვე, ონლაინ ტრენინგების გავლა, კრედიტების მონიტორინგი, ტრენინგის ხარისხის შეფასება, გამოკითხვებში მონაწილეობა და სხვა საგანმანათლებლო პროცესების მართვა.

განახლებული ფორმატის ონლაინ მოდულები

ახალი ვებპორტალის ბაზაზე, ონლაინ სწავლების მიმართულების გაძლიერებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ევროპის საბჭოს მხარდაჭერითა და საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობით დავნერგეთ თანამედროვე სტრუქტურისა და ფორმატის ონლაინ მოდულები. განახლებული ფორმატის ონლაინ მოდულების სტრუქტურა ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისგან შედგება, რომელიც ინტერაქციული მეთოდით არის გადმოცემული და მოიცავს როგორც ვიდეო, ასევე საკითხავ და ტესტურ კომპონენტებს. აღნიშნული ფორმატით უკვე შევიმუშავეთ და ვებ-პორტალზე განვათავსეთ 11 ონლაინ მოდული, რომელსაც პერიოდულად დავამატებთ ახალ მოდულებს წევრებისთვის საინტერესო სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.



ეთიკის კომისიის ელექტრონული საქმისწარმოების პორტალი

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით შევქმენით ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ელექტრონული საქმისწარმოების მრავალფუნქციური პორტალი. აღნიშნული პორტალის საშუალებით, ეთიკის კომისიის წევრები შეძლებენ, კომისიაში რეგისტრირებულ საქმეებს გაეცნონ და გადაწყვეტილება მოამზადონ ონლაინ ფორმატში. ამასთან, პორტალის საშუალებით მხარეებს მნიშვნელოვნად გაუადვილდებათ მათი საქმის წარმოებისა და სხდომების კალენდრის მონიტორინგი, ისევე, როგორც ეთიკის კომისიის აპარატთან კომუნიკაცია.

თანამედროვე საარჩევნო სისტემა

USAID-ისა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, სპეციალური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ინტენსიურად ვიმუშავეთ ასოციაციის მმართველი ორგანოების არჩევნების სისტემისა და პროცედურების დახვეწასა და გათანამედროვებაზე, საარჩევნო პროცესის სანდოობისა და გამჭვირვალობის, ასევე, უხარვეზოდ წარმართვის მიზნით. შესაბამისად, ასოციაციის მმართველი ორგანოების არჩევნების ჩასატარებლად შევიმუშავეთ და დავნერგეთ სპეციალური საარჩევნო ელექტრონული პორტალი და ხმის დამთვლელი ოპტიკური სკანერების სისტემა.

11

პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვა 72

პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვაზე ზრუნვა

პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვაზე ზრუნვა

ეთიკის კომისიის აქტიური მუშაობის შედეგად, კომისიის წარმოებაში არსებული 723 დისციპლინური საქმიდან 598-ზე უკვე დავასრულეთ წარმოება. საქმეთა ობიექტურად გამოკვლევისთვის კომისიამ, მხარეთა მონაწილეობით, წარმოების საპროცესო ეტაპზე 1256 სხდომა, ხოლო განხილვის ეტაპზე 236 სხდომა გამართა.

პროფესიული ქცევის სტანდარტების დაცვაში ადვოკატების მხარდასაჭერად, სარეკომენდაციო მექანიზმის ფარგლებში შევიმუშავეთ 100-ზე მეტი დასაბუთებული რეკომენდაცია, რომლითაც 139-მა ადვოკატმა ისარგებლა.

1256 სხდომა

წარმოების საპროცესო ეტაპზე გავმართეთ 1256 სხდომა

598 საქმე

598 დისციპლინური საქმით დავასრულეთ

139 ადვოკატი

რეკომენდაციით 139-მა ადვოკატმა ისარგებლა

228 სტუდენტი

228 სტუდენტმა გაიარა პრაქტიკული სწავლება

კოლეგებთან პროფესიული ეთიკის საკითხების განხილვისა და კომისიის პრაქტიკის შესახებ ჩვენი წევრებისთვის ინფორმაციის მიწოდებისთვის, შეხვედრები გავმართეთ კახეთის, იმერეთის, აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ადვოკატებთან. დისკუსიის თემები შეირჩა ადვოკატების საჭიროებებიდან გამომდინარე.

მომავალ იურისტებსა და ადვოკატებში პროფესიული ქცევის სტანდარტების შესახებ ცოდნის გავრცელებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების პოპულარიზაციის მიზნით, ასოციაციის აპარატის ბაზაზე მოქმედ ეთიკის კლინიკაში 228 სტუდენტს მივეცით პრაქტიკული სწავლების გავლის შესაძლებლობა, მათ შორის რეგიონული უნივერსიტეტებიდანაც.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის გაზრდით მიზნით, კომისიის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, ისევე როგორც რეკომენდაციები, დამუშავდა და განახლებული ფორმატით განთავსდა ასოციაციის ვებგვერდზე.

ორგანიზაციული და სტრუქტურული რეფორმები

12

ორგანიზაციული და სტრუქტურული რეფორმები 76

ორგანიზაციული და სტრუქტურული რეფორმები

გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, შევიმუშავეთ ადვოკატთა ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის პრეზენტაციაც 2018 წლის 20 ნოემბერს გავმართეთ. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს ადვოკატის პროფესიისა და ასოციაციის საქმიანობის ყველა პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის განხორციელებით, ასოციაცია გადადის ინსტიტუციური განვითარების თვისებრივად ახალ საფეხურზე, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და საქმიანობის ხარისხს.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული და სტრუქტურული ცვლილებები იყო. შესაბამისად, ასოციაციის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის მიზნით, ასოციაციის აპარატში გატარდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კანონის დონეზე გაიწერა ასოციაციის აღმასრულებელი მდივნის როლი და კომპეტენცია და აღმასრულებელი საბჭოს მიერ შემუშავებული დოკუმენტით აღნიშნული საშტატო ერთეული აღიჭურვა თვისებრივად ახალი უფლება-მოვალეობებით. ამასთან, შემუშავდა ნათლად განსაზღვრული

სტრუქტურული ხე; გაუქმდა ასოციაციის მიზნებთან შეუსაბამო საშტატო ერთეულები; ჩამოყალიბდა ახალი ან/და მოდიფიცირდა არსებული საშტატო ერთეულები და ამასთან, გაიმიჯნა და დეტალურად გაიწერა თითოეული საშტატო ერთეულის უფლება-მოვალეობები. აგრეთვე, შემუშავდა და ამოქმედდა ასოციაციის აპარატის შინაგანაწესი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს სამსახურებრივ წესებსა და მოთხოვნებს.

ამასთან, წლების განმავლობაში ასოციაციის წევრების მონაცემთა რამდენიმე და არასრულყოფილი ბაზის არსებობა აფერხებდა წევრებთან სათანადო კომუნიკაციისა და საწევრო საკითხების ადმინისტრირების პროცესს. 2019 წლის იანვარში მონაცემთა ბაზების შეფასების/ანალიზისა და კონსოლიდირებული მონაცემთა ბაზის შემუშავების მიზნით შევქმენით სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფმა აღწერა და დაამუშავა 9300-ზე მეტი პირადი საქმე და ჰქონდა უშუალო კომუნიკაცია თითოეულ წევრთან, მათი მონაცემების განახლების მიზნით. შედეგად, დაზუსტებული ინფორმაციისა და მონაცემების საფუძველზე, შეიქმნა თანამედროვე, დახვეწილი და მულტიფუნქციური ადვოკატთა რეესტრი, რომელშიც გაერთიანებულია თითოეული ადვოკატის სრული ისტორია, მათ შორის, გაწევრებისა და უფლებამოსილების შეჩერება/შეწყვეტის მითითებით. განახლებული ბაზა (პერსონალური მონაცემების დაცვით) განთავსებულია ასოციაციის ვებგვერდზე და მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, მარტივად მოიძიოს ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო. მონაცემთა ბაზების სისტემატიზაციამ უზრუნველყო ასოციაციის წევრებთან საკომუნიკაციო არხების გაუმჯობესება და ამ მიმართულებით ადამიანური რესურსის დაზოგვა.